საქართველოს ფარმაცევტთა
ასოციაცია

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წესდება

ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი

ფარმაცევტის ფიცი

თბილისი 2006 წელი

მიღებულია საქართველოს ფარმაცევტთა
ასოციაციის ყრილობაზე
2005 წლის 2 ივლისს

© საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წესდება

ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი

ფარმაცევტის ფიცი

თბილისი 2006 წელი

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წესდება

1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია (შემდგომში ასოციაცია) დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, დარეგისტრირებულია ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 19 ივლისის №06/9-299 დადგენილებით. იგი წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

1.2. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და წინამდებარე წესდების შესაბამისად;

1.3. ასოციაცია ფარმაცევტთა ინტერესების დამცველია, იგი დადგენილი წესით მონაწილეობას იღებს ფარმაცევტული საქმიანობის მარეგლამენტირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დარგის განვითარების საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში;

1.4. ასოციაცია თანამშრომლობს სხვადასხვა ასოციაციებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ საზოგადოებებთან. თანამშრომლობის შინაარსი, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე;

1.5. ასოციაციას შეუძლია გაწევრიანდეს სხვა ასოციაციაში, კავშირებსა და ორგანიზაციებში;

1.6. ასოციაციას, მიზნებიდან გამომდინარე, უფლება აქვს კანონით და დადგენილი წესით იმოქმედოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;

1.7. ასოციაცია რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, შტამპი, სიმბოლური ნიშანი, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს და საზღვარგარეთის საბანკო დაწესებულებებში. ფლობს განკერძოებულ ქონებას;

1.8. ასოციაციის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი 0108, გ. ახვლედიანის ქუჩა №22.

2. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

2.1. ასოციაციის მიზნები და ამოცანებია კანონით დადგენილი წესით:

– წევრთა უფლებების და ინტერესების დაცვა;

– მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით და სხვა სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფისათვის ეროვნული ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და ასოციაციის მიზნებისათვის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და კანონით არ არის აკრძალული;

– ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების განმტკიცება და წამალთმცოდნეობის ტრადიციების აღდგენა-განვითარება;

– საქართველოს სამკურნალო მცენარეთა ფლორის დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, სამკურნალო მცენარეების კულტივირებისთვის

ხელშეწყობა;

– ფარმაცევტული განათლების და სპეციალისტთა დიპლომის შემდგომი სწავლების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება;

– ფარმაციის დარგის ყველა სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა, სტუდენტების, პრაქტიკული და თეორიული დარგის მუშაკების საზღვარგარეთ მივლინება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა;

– საქართველოს ფარმაციის ისტორიის კვლევა და პუბლიკაცია. საკუთარი ბიბლიოთეკისა და ბეჭდვითი ორგანოს დაარსება;

– პროფესიული კონკურსების გამოცხადება, წამახალისებელი პრემიების დაწესება;

– კონგრესების, სიმპოზიუმების და კონფერენციების ჩატარება, გამოფენების მოწყობა, თემატური საღამოების ორგანიზება, დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ასოციაციის წევრთა მივლინება საერთაშორისო ყრილობებსა და ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად;

– მოსახლეობის ინტერესების დაცვა ხარისხიანი, ეფექტური, უვნებელი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებითა და სხვა სამედიცინო პროდუქციით უზრუნველყოფის მიზნით;

– ფარმაციის დარგში რეფორმებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელების პროცესებში მონაწილეობა;

– საქველმოქმედო საქმიანობა, ჰუმანიტარული დახმარების განხორციელება;

– სახელმწიფო სტრუქტურებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთთანამშრომლობა როგორც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

– ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად დამატებითი ფინანსური და მატერიალური საშუალებების მოძიება;

– საქართველოს წამალთა პოლიტიკის სფეროში რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

3. ასოციაციის უფლებები

3.1. საწესდებო მიზნების და ამოცანების შესასრულებლად ასოციაციას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით:

– დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი საქმიანობის მიმართულებები;

– დადოს ხელშეკრულებები და განახორციელოს სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი;

– შეიძინოს, იჯარით აიღოს შენობები, ინვენტარი, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

– შევიდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში და სხვა სახის საზოგადოებრივ გაერთიანებებში;

– ჩაატაროს სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, ლექციები, განახორციელოს სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობა, დააფუძნოს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები (გაზეთი, ჟურნალი);

3.2. ასოციაციას უფლება აქვს საწესდებო მიზნების მისაღწევად განახორციელოს კანონით დებადართული სხვა საქმიანობაც.

4. ასოციაციის წევრობა

4.1. ასოციაცია შედგება ნამდვილი და საპატიო წევრებისგან. საპატიო წევრს ირჩევს ყრილობა; ასოციაციის საპატიო წევრებზე არ ვრცელდება ამ წესდებით წევრებისათვის გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები;

4.2. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში მცხოვრები ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტი, სტუდენტი და სხვა პროფესიის წარმომადგენელი, ეროვნების, სარწმუნოების და პარტიულობის მიუხედავად, რომელიც ცნობს წინამდებარე წესდებას, მონაწილეობას იღებს ასოციაციის საქმიანობაში და იხდის საწევრო გადასახადს, აგრეთვე – იურიდიული პირები მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიუხედავად, როგორც საქართველოსი, ისე უცხოეთისა, რომლებიც დაიცავენ ამ წესდებაში მოცემულ პრინციპებს და გადაიხდიან საწევრო გადასახადს;

4.3. ასოციაციის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა თითოეული წევრის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

5. ასოციაციის წევრის უფლება-მოვალეობები

5.1. ასოციაციის ყველა წევრი თანასწორუფლებიანია;

5.2. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობაში, მისი გეგმების, პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების შემუშავება-განხორციელებაში;

ბ) ისარგებლოს ასოციაციის პროგრამებში მონაწილეობის პრიორიტეტული უფლებებით;

გ) აირჩიოს და არჩეული იქნას ასოციაციის მმართველობითსა და კონტროლის ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

დ) ისარგებლოს ასოციაციის მიერ შექმნილი სოციალური ბაზით, მიიღოს მატერიალური, ფინანსური და სხვა დახმარება ასოციაციის გამგეობის მიერ დადგენილი წესების და პირობების მიხედვით;

ე) დაიცვას წესდების მოთხოვნები, კოლეგიალობის და ეთიკის ნორმები;

ვ) შეასრულოს ასოციაციის მმართველობისა და კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილებები;

ზ) პროპაგანდა გაუწიოს ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს;

თ) გავიდეს ასოციაციის წევრობიდან პირადი განცხადების საფუძველზე;

ი) იყოს იმავდროულად სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი;

კ) გადაიხადოს საწევრო შენატანები;

ლ) ასოციაციის წევრი, რომელიც თავს არიდებს ასოციაციაში მუშაობას, არ ასრულებს საწესდებო მოთხოვნებს, არ იხდის საწევრო გადასახადს, გაამჟღავნებს ასოციაციის კონფიდენციალურ საიდუმლოებას, ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობისას გაირიცხება ასოციაციის წევრობიდან წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

მ) ასოციაციის საპატიო წევრს აქვს მუდმივი დელეგატის სტატუსი ყრილობაზე.

6. ასოციაციის სტრუქტურა

6.1. ასოციაციის მართვისა და კონტროლის ორგანოებს წარმოადგენს: წევრთა საერთო კრება (ყრილობა), გამგეობა (პრეზიდიუმი), სარევიზიო კომისია;

6.2. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის არჩევნები ეწყობა 4 წელიწადში ერთხელ;

6.3. ყრილობას ამზადებს და იწვევს ასოციაციის პრეზიდიუმი, ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა (დელეგატთა) 2/3;

6.4. რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ხდება ასოციაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან ასოციაციის წევრთა 1/10 მოთხოვნით ან სარევიზიო კომისიის ინიციატივით;

6.5. ყრილობის მოწვევის თარიღი და დღის წესრიგი ეცნობება წევრებს (დელეგატებს), ყრილობის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

6.6. ყრილობა ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის პრეზიდიუმს და სარევიზიო კომისიას. ამტკიცებს წესდებას ან შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, რაც ექვემდებარება დადგენილი წესით რეგისტრაციას, ისმენს არჩევითი ორგანოების ანგარიშს, ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, განიხილავს ასოციაციის მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. განსაზღვრავს ასოციაციის მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას, ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს, იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;

6.7. პრეზიდიუმი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს;

6.8. ყრილობაზე დელეგატთა მონაწილეობის წესსა და ნორმებს განსაზღვრავს პრეზიდიუმი;

6.9. პრეზიდიუმის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნას აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი.

7. ასოციაციის პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობანი

7.1. ასოციაციის საქმიანობის ოპერატიულ მართვას ახორციელებს პრეზიდიუმი, რომელიც წარმოადგენს ყრილობებს შორის ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოს. მის საქმიანობას წარმართავს ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად პრეზიდიუმის თავმჯდომარეა;

7.2. პრეზიდიუმი ირჩევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, საპატიო პრეზიდენტებსა და მდივანს;

7.3. ასოციაციის პრეზიდიუმს ირჩევს ყრილობა 4 წლის ვადით, რომელიც შედგება 31 წევრისაგან;

7.4. პრეზიდიუმის სხდომები მოიწვევა კვარტალში ერთხელ, შესაძლებელია რიგგარეშე სხდომების მოწვევა პრეზიდიუმის წევრთა 1/3-ის ინიციატივით ან პრეზიდენტის მოთხოვნით;

7.5. პრეზიდიუმი პასუხისმგებელია ასოციაციის მართვაზე;

7.6. პრეზიდიუმი უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის განსახილველად შემოტანილი საკითხები, თუ სხდომაში მონაწილეობს პრეზიდიუმის წევრთა სულ ცოტა 2/3,

გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, ასოციაციის პრეზიდენტის ხმა გადამწყვეტია;

7.7. პრეზიდიუმი წარუდგენს ყრილობას ანგარიშებს წელიწადში ერთხელ;

7.8. პრეზიდიუმის კომპეტენციას მიეკუთვნება:

ა) ასოციაციის სტრატეგიული საქმიანობის წარმართვა;

ბ) ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება ყველა მიმდინარე საკითხზე, რომელიც წამოიჭრება ყრილობებს შორის პერიოდში და არ განეკუთვნება ყრილობის სპეციალურ კომპეტენციას;

7.9. პრეზიდიუმის წევრი არ შეიძლება იყოს ანალოგიური მიზნის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. თუ პრეზიდიუმის წევრს სურს იყოს ანალოგიური მიზნის მქონე ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ამისთვის საჭიროა ასოციაციის პრეზიდიუმის თანხმობა. ასეთი თანხმობა სავალდებულო არ არის, თუ პირი უკვე იყო სხვა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი;

7.10. პრეზიდიუმი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მიავლინოს ასოციაციის ნებისმიერი წევრი ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად ან პროფესიული საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

7.11. პრეზიდიუმის იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის საკუთრების ყიდვა-გაყიდვის ან იჯარით გაცემის თაობაზე;

7.12. პრეზიდიუმს ყრილობაზე გამოაქვს შემდეგი საკითხები:

ა) ასოციაციის ახალი წესდების პროექტი;

ბ) ასოციაციის წევრთა საწევროების გადახდის წესის შესახებ;

გ) საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მშვიდობიანი აქციების ჩატარების შესახებ და ასოციაციის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

8. ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და საპატიო პრეზიდენტები

8.1. ასოციაციის პრეზიდენტს ირჩევს პრეზიდიუმი 4 წლის ვადით ღია კენჭისყრით. ერთიდაიგივე პირი პრეზიდენტად ირჩევა ზედიზედ არაუმეტეს 2 საარჩევნო ვადით;

8.2. ასოციაციის პრეზიდენტი მოქმედებს ასოციაციის სახელით, წარმოადგენს მას ყველა დონეზე და ყველა საკითხში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;

8.3. ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის პროგრამებს და პროექტებს;

8.4. ახორციელებს ასოციაციისა და პრეზიდიუმის საერთო ხელმძღვანელობას;

8.5. პრეზიდიუმთან შეთანხმებით განკარგავს ასოციაციის ქონებასა და სახსრებს;

8.6. ხსნის და ხურავს ანგარიშებს სამამულო და უცხოურ ვალუტაზე შესაბამის საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს საბუღლატრო-საფინანსო დოკუმენტებს, ასოციაციის სახელით დებს შეთანხმებებს, ხელშეკრულებებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

8.7. წარუდგენს პრეზიდიუმს თავის რეკომენდაციას საპატიო პრეზიდენტებისა და ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურის თაობაზე;

8.8. პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია ყრილობისა და პრეზიდიუმის წინაშე;

8.9. ასოციაციის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

9. სარევიზიო კომისია

9.1. ასოციაციის სარევიზიო კომისიას ყრილობა ირჩევს ფარული კენჭისყრით 5 წევრის შემადგენლობით. კომისია მუშაობს ასოციაციის წესდების მიხედვით და კონტროლს უწევს ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

9.2. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს;

9.3. სარევიზიო კომისიის წევრები, თავმჯდომარის ჩათვლით, არ უნდა იყვნენ პრეზიდიუმის წევრები;

9.4. სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევაში გაეცნონ ასოციაციის ნებისმიერი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას;

9.5. კომისია ანგარიშს წარუდგენს ყრილობას, საჭიროებისას ინფორმაციას აკეთებს პრეზიდიუმის სხდომაზე. იგი უფლებამოსილია დააყენოს საკითხი რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ;

9.6. ფინანსურ ოპერაციებში დარღვევის აღმოჩენის შესახებ აცნობებს პრეზიდენტს და აკეთებს ინფორმაციას პრეზიდიუმის სხდომასა და ყრილობაზე;

9.7. თუ კომისიის თავმჯდომარე ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, კომისია ირჩევს ახალ თავმჯდომარეს;

9.8. სარევიზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

10. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები

10.1. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა) იქმნება ასოციაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად.

10.2. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის რეგლამენტაცია ხდება პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

11. ასოციაციის ქონება, სახსრები, შემოსავლის წყარო

11.1. ასოციაციას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება;

11.2. თავისი მიზნების მისაღწევად ასოციაცია უფლებამოსილია მიიღოს დონორი ორგანიზაციების დახმარება აღჭურვილობის, ავეჯის, სალექციო მასალების და სხვა სახით;

11.3. ასოციაციის სახსრებს ქმნის:

ა) საწევრო გადასახადები;

ბ) ქართულ და უცხოურ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შემოწირულობები და გრანტები;

გ) ასოციაციის ძირითადი და მიზნობრივი პროგრამების და პროექტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;

დ) ასოციაციის წევრთა ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

ვ) საგამომცემლო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

11.4. ასოციაციის ფულადი სახსრები ინახება ბანკში;

11.5. დასაწყისში ასოციაციის არჩევითი პირები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე. მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ფაქტიურ დანახარჯებს აანაზღაურებს ასოციაცია;

11.6. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნას საქველმოქმედო მიზნებისთვის;

11.7. ასოციაციის შემოსავლები უნდა მოხმარდეს ასოციაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას, დაუშვებელია წევრთა შორის მისი განაწილება.

12. ასოციაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

12.1. ასოციაციას უფლება აქვს ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას;

12.2. ასოციაციის სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს, გარდა პირველი წლისა, რომელიც იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.

13. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით;

13.2. ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

ბ) ყრილობის გადაწყვეტილებით;

13.3. ლიკვიდაცია ხორციელდება პრეზიდიუმის მიერ, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას ლიკვიდაციას ახორციელებენ იუსტიციის სამინისტროს მიერ დანიშნული ლიკვიდატორები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

13.4. ასოციაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

ა) ანალოგიური მიზნების მქონე ასოციაცია;

ბ) საქველმოქმედო ორგანიზაციები;

გ) სახელმწიფო;

13.5. ასოციაციის ლიკვიდაცია დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ასოციაციის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

მუხლი I
ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის მიზნები

1. ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის მიზანია დაადგინოს ფარმაცევტული პერსონალის ქცევის ნორმები და პრინციპები, რომელთა დაცვა აუცილებელია პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისას და ხელი შეუწყოს მოსახლეობის უზრუნველყოფას მაღალხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებით.

2. ფარმაცევტის საქმიანობის სპეციფიკა ისაა, რომ ის უშუალოდ არ კურნავს ავადმყოფს, არამედ აღმოუჩენს დახმარებას სამკურნალო საშუალებების მიწოდების გზით.

3. ფარმაცევტის ამოცანაა, მარად ახსოვდეს თავისი როლი და მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნების და ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. იგი ვალდებულია წამლით დაეხმაროს ყოველ ადამიანს, სქესის, ასაკის, რასობრივი და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

მუხლი II
ფარმაცევტი და ავადმყოფი

1. ფარმაცევტმა ავადმყოფთან და მათ ნათესავებთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

1.1. – კარგი გარეგნობა, ქათქათა, გახამებული ხალათი, ლამაზი ვარცხნილობა, აკურატულობა, მომხიბვლელობა და თავმდაბლობა ავადმყოფს უნერგავს ნდობას და სიმპათიას.

1.2. – ფარმაცევტმა ავადმყოფთან ურთიერთობისას ყურადღება უნდა მიაქციოს თავის ჟესტებს და მიმიკას, მეტყველებას, ქცევის მანერებს, რადგან ავადმყოფი ძალზე მგრძნობიარე და ემოციურად დაძაბულია. ფრთხილი, აწონილი საუბარი, თავაზიანი მიმართვა, თანაგრძნობის სურვილი განამტკიცებს ფარმაცევტის ავტორიტეტს.

1.3. – ფარმაცევტმა მოთმინებით უნდა განუმარტოს ავადმყოფს წამლის მიღების, შენახვისა და გამოყენების წესები. იმისათვის, რომ მიაღწიოს წამლით დახმარების უმაღლეს დონეს, მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მოვალეა დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, გამოავლინოს პაციენტისადმი ყურადღება, თანაგრძნობითა და პატივისცემით მოექცეს პიროვნების ღირსებას.

1.4. – ფარმაცევტი უნდა ზრუნავდეს და ატარებდეს შესაბამის ღონისძიებებს იმისათვის, რომ წამალი იყოს რაც შეიძლება იაფი და ხელმისაწვდომი.

მუხლი III
ფარმაცევტი და ექიმი

1. ფარმაცევტი ფარმაკოთერაპიის ჩატარებისას ექიმის თანამებრძოლია და ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს მას სამკურნალო საშუალებების შერჩევის, დანიშვნისა და გამოყენების საქმეში. ფარმაცევტი უნდა გაუფრთხილდეს ექიმის ავტორიტეტს, ავადმყოფის თანდასწრებით არ უნდა გააკრიტიკოს ექიმი, არ მიუთითოს რეცეპტში ექიმის შეცდომაზე.

2. ფარმაცევტმა კარგად უნდა იცოდეს ფარმაციის და კლინიკური ფარმაკოლოგიის საფუძვლები, ერკვეოდეს მედიცინის სხვა დარგებში, რათა კვალიფიკაციური კონსულტაცია გაუწიოს ექიმს სამკურნალო საშუალებების, მათი ქიმიური თვისებების, ფარმაკოლოგიური ანალოგებისა და სხვათა შესახებ.

მუხლი IV
ფარმაცევტი და კოლეგა

1. ფარმაცევტი კოლეგებთან უნდა იქცეოდეს ისე, როგორც ისურვებდა, რომ თვით მას მოქცეოდნენ.

2. კოლეგებთან ურთიერთობაში ფარმაცევტი ვალდებულია იყოს პირიანი, სამართლიანი, კეთილის მსურველი და წესიერი. პატივისცემით ეპყრობოდეს თანამოსაქმეთა ცოდნასა და გამოცდილებას და მზად იყოს უანგაროდ გადასცეს მათ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

3. ფარმაცევტულ კოლექტივში კარგი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობს ხელმძღვანელის (ლიდერის) პიროვნება, მისი დამოკიდებულება ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებთან. კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს არგუმენტირებული და არა შეურაცხმყოფელი, კრიტიკის საგანი პროფესიული ქმედებაა და არა კოლეგის პიროვნება.

4. ფარმაცევტმა პაციენტისა და მისი ნათესავების თანდასწრებით უარყოფითად არ უნდა დაახასიათოს კოლეგები და მათი საქმიანობა, მხოლოდ კოლეგების წრეში შეუძლია განსაჯოს შემჩნეული პროფესიული ნაკლი და არაეთიკური საქციელი.

მუხლი V
ფარმაცევტი და წამლით დახმარების ხარისხი

1. ფარმაცევტი ვალდებულია დაიცვას სამკურნალო საშუალებათა დამზადების, შენახვისა და გაცემის წესები. მოვალეა არ ურჩიოს ავადმყოფს უცნობი წარმოშობის, საეჭვო თერაპიული ეფექტის, ხმარებისათვის ნებადაურთველი და არარეგისტრირებული, ანდა აშკარად ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებები.

2. ფარმაცევტი მოვალეა განუმარტოს პაციენტს წამლების სინონიმები, ანალოგები, ახალი სამკურნალო საშუალებები. ხელი უნდა შეუშალოს ამა თუ იმ პრეპარატების „მოდად“ ქცევას, თვითმკურნალობას, უმართებულო რეკლამას.

მუხლი VI
ფარმაცევტი და საზოგადოება

1. ფარმაცევტი აქტიურად იბრძვის ქვეყანაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის, რათა საზოგადოებაში მიმდინარე რეფორმები ცალსახად იქნეს მიმართული ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ.

2. ფარმაცევტმა უნდა იზრუნოს, რათა საზოგადოებაზე (პაციენტზე) ორიენტირებულ იქნეს ფარმაცევტული საქმიანობა და განხორციელდეს ძირითადი მიზანი – წამალი იყოს არა მარტო ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო, არამედ ეკონომიკურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომიც.

3. ფარმაცევტი მოვალეა საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია წამლის მიღების, შენახვისა და გამოყენების საკითხებზე; არ უნდა დაუშვას რეცეპტურული წამლების რეკლამა.

4. ფარმაცევტს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი პოზიცია პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის ფარმაციის დარგის სპეციალისტთა შევიწროების, დევნის, დაუცველობის, ზეწოლის ან მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევის გამო.

მუხლი VII
ფარმაცევტის პროფესიული ცოდნის დონე და დამოუკიდებლობა

1. ფარმაცევტი თავისი კომპეტენციისა და მეცნიერული ცოდნის ფარგლებში უნდა ეწეოდეს მოღვაწეობას. იგი მუდმივად უნდა იღრმავებდეს ცოდნის დონეს და პროფესიულ ოსტატობას. სწავლობდეს თავისი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებას. უნდა სწამდეს, რომ პროფესიული დამოკიდებულება ფარმაცევტის უფლება და მოვალეობაა. წამლით დახმარებისას იგი თვითონ კისრულობს საკითხის პროფესიულად გადაწყვეტის მთელ პასუხისმგებლობას.

2. ფარმაცევტს ექიმისაგან დამოუკიდებლად შეუძლია შეურჩიოს ავადმყოფს ურეცეპტოდ გასაცემი წამლები, ხოლო რეცეპტურული წამლების შემთხვევაში – მხოლოდ ჯენერიკები (სინონიმები). აღნიშნული პროფესიული დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი პარამეტრია.

3. ფარმაცევტმა არ უნდა ითანამშრომლოს ისეთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, რომლებიც მისგან მოითხოვენ ეთიკური ნორმებისა და პრინციპების, პროფესიული მოვალეობის ან კანონის საპირისპირო მოქმედებებს.

მუხლი VIII
ფარმაცევტი და საექიმო საიდუმლოება

1. თავის მოღვაწეობაში ფარმაცევტი ხელმძღვანელობს ავადმყოფთა ინტერესებით. იგი ვალდებულია დაიცვას საიდუმლოებანი, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდება პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისას.

2. პაციენტი იმედოვნებს, რომ ფარმაცევტი ექიმის პარტნიორია: ფარმაკოთერაპიის ჩატარებისას ენდობა მას და უმხელს საიდუმლოს, რომელიც ფარმაცევტმა იმ

ადამიანის სიკვდილის შემდეგაც კი უნდა დაიცვას.

3. ფარმაცევტმა ზოგიერთი მონაცემები ავადმყოფისაგან საიდუმლოდ უნდა შეინახოს, რადგანაც არის დაავადებები, რომელთა დიაგნოზის ცოდნა ავადმყოფს სასოწარკვეთილებაში აგდებს და უარყოფითად მოქმედებს დაავადების დინამიკასა და მის მკურნალობაზე. ფარმაცევტმა უნდა მიუთითოს არა დაავადებაზე, არამედ სამკურნალო საშუალების სიმპტომატურ მოქმედებაზე.

მუხლი IX
ფარმაცევტი და დარგის ტრადიციები, პროფესიული ღირსება და ავტორიტეტი

1. ფარმაცევტი მოვალეა, შეინარჩუნოს პატივისცემა, მადლიერება და მოკრძალება მათ მიმართ, ვინც მას არჩეული პროფესია შეასწავლა. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა დაიცვას დარგის კეთილშობილური ტრადიციები, პროფესიული ღირსება და ავტორიტეტი, იზრუნოს ფარმაცევტთა საზოგადოების კონსოლიდაციისათვის, ჩრდილი არ მიაყენოს თავის პროფესიას.

2. ფარმაცევტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყოს ფარმაცევტთა კავშირის აქტიური წევრი, დღენიადაგ ზრუნავდეს პროფესიულ დაოსტატებაზე და დარგის შემდგომ განვითარებაზე.

3. ფარმაცევტს უფლება არა აქვს გაასხვისოს თავისი დიპლომი (ან სახელმწიფო სერთიფიკატი) ან ფაქტობრივად, მიექირავოს აფთიაქის გახსნის მსურველებს, რაც დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს და აკნინებს ფარმაცევტის ავტორიტეტს საზოგადოების თვალში.

4. ფარმაცევტი თავისი მოღვაწეობით ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული ფარმაციის ყოველმხრივ განვითარებას.

მუხლი X

ფარმაცევტის პროფესიასთან შეუთავსებელია ცოდნისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. ფარმაცევტი სამკურნალო საშუალებას განიხილავს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა-განმტკიცებისა და თვით სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელ პირობას და ამიტომ მას უფლება არა აქვს:

1.1. თავისი ცოდნა გამოიყენოს არაჰუმანური მიზნებისთვის;

1.2. გამორჩენის მიზნით გამოიყენოს თავისი თანამდებობა და დაკავებული მდგომარეობა;

1.3. პროფესიული მოვალეობების შესრულებისას იხელმძღვანელოს რელიგიური, ნაციონალური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებებით.

1.4. აენოს ავადმყოფის ინტერესებს გულგრილობის, დაუდევრობის ან არაკომპეტენტურობის გამო.

მუხლი XI
ეთიკური კოდექსის მოქმედება

1. ეს კოდექსი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის ყველა წევრისათვის. იგი რეკომენდებულია შესასრულებლად ასევე უმაღლესი და საშუალო განათლების ყველა ფარმაცევტული პერსონალისათვის, რომლებიც შესაძლოა, არ არიან ასოციაციის წევრები, მაგრამ ეწევიან ფარმაცევტულ საქმიანობას.

მუხლი XII
პასუხისმგებლობა ეთიკური კოდექსის დარღვევისათვის

1. ეთიკური კოდექსის უპირველესი მსაჯული საკუთარი სინდისია, შემდეგ კი – ფარმაცევტთა ასოციაცია, რომელიც მოქმედებს თავისი წესდების ფარგლებში. თუ ეთიკური ნორმების დარღვევა იმავდროულად ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაცაა, მაშინ ფარმაცევტი პასუხს აგებს კანონის წინაშე.

მუხლი XIII
ცვლილებები ეთიკურ კოდექსში

1. ეთიკური კოდექსის გადასინჯვისა და მასში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ ფარმაცევტთა ასოციაციის ყრილობას. ცვლილებებისა და დამატებების კოდექსში შეტანის საკითხებს ამზადებს ფარმაცევტთა ასოციაციის გამგეობა.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია

ფარმაცევტის ფიცი

მე, ავირჩიე რა ფარმაცევტის პროფესია, ღვთისა და ერის წინაშე საზეიმოდ ვფიცავ:

– ღირსეულად ვატარო ფარმაცევტის საპატიო წოდება. მუდამ მახსოვდეს ჩემი მთავარი მოვალეობა – ვიზრუნო ყოველი პაციენტის კეთილდღეობისათვის. პროფესიის სიყვარული დაე მთელი სიცოცხლის მანძილზე იყოს ჩემი თანამგზავრი;

– განვახორციელო პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობა. დღენიადაგ ვიზრუნო, რომ ჩემს მიერ მიწოდებული წამალი იყოს ხარისხიანი, ეფექტური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი;

– დავიცვა ადამიანთა უფლებები და წამლით დავეხმარო მათ, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, აღმსარებლობისა, ეროვნებისა, პოლიტიკური მრწამსისა, რასისა, პროფესიისა თუ სოციალური მდგომარეობისა;

– სრულვყო პროფესიული ცოდნა და ჩვევები, ვიზრუნო მათი შემდგომი განვითარებისათვის;

– საიდუმლოდ შევინახო ყველაფერი, დანახული ან ავადმყოფისაგან მოსმენილი, რომლის გახმაურება ზიანს მოუტანს მას და მის სახელს;

– ვერავინ მიიღოს ჩემი ხელიდან მომაკვდინებელი საშუალება და არც არავის ვასწავლო გზა ავი ზრახვების ასასრულებლად. მუდამ მემახსოვრება – ჩემი საქმიანობით არ ვავნო ავადმყოფის სულსა და სხეულს;

– განვავითარო ფარმაციის კეთილი ტრადიციები, ვამრავლო სახელი და დიდება მისი, გავუფრთხილდე ფასეულობებს მისას;

– მუდამ მადლიერი და ერთგული ვიყო ჩემი აღმზრდელებისა, პატივი ვცე მათ, ვინც ფარმაცია შემასწავლა და შემაყვარა, გავუფრთხილდე ამ დარგის ისტორიასა და ტრადიციებს;

– ვითანამშრომლო კოლეგებთან, ექიმებთან და სხვა პროფესიონალებთან. პატივი ვცე მათ ცოდნა-გამოცდილებას, მათთან ურთიერთობისას ვიყო გულღია და პატიოსანი;

– მიღებული ცოდნა და უნარი უანგაროდ მოვახმარო ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას, მის აწმყოსა და მერმისს;

– დაე სიძუნწემ, სიხარბემ, თვითგანდიდებამ, სახელისადმი ლტოლვამ, ვერ შეცვალოს ჩემი ცნობიერება, ვერავითარმა ძალამ ვერ მაიძულოს გამოვიყენო ფარმაცევტული ცოდნა ჯეშმარიტებისა და კაცთმოყვარეობის კანონების წინააღმდეგ;

– უფალო, შემეწიე, რათა შევასრულო ესე აღთქმა და ჩემი მოწოდება. ამინ!

ს ა რ ჩ ე ვ ი :

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წესდება.....3

ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი.....11

ფარმაცევტის ფიცი.....15

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „კოლორის“

კომპიუტერულ ცენტრში